ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

2019 წლის 1 ნოემბერი - 2020 წლის 31 ოქტომბერი

## შესავალი

განვლილი საანგარიშო პერიოდი ერთ ერთი ურთულესი იყო ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაში. არსებულ გამოწვევებს დაემატა გლობალური გამოწვევა - Covid-19 პანდემია, რომელმაც კარდინალური ცვლილებები შეიტანა მსოფლიოდ დღის წესრიგში.

ცხადია აღნიშნული კატაკლიზმები გვერდს ვერ აუვლიდა რუსთავს. საჭირო გახდა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის სწრაფი და კარდინალური კორექტირება, რათა პანდემიის მიმდინარეობა, შედეგები და მისგან გამოწვეული ცვლილებები რაც შეიძლება ნაკლებად მტკივნეული ყოფილიყო ჩვენი ქალაქისთვის.

პანდემიის გამო საჭირო გახდა ქალაქის პრიორიტეტებში გარკვეული ცვლილებების შეტანა. გაუქმდა მასობრივი ღონისძიებები, შეფერხდა და გადაიდო მთელი რიგი საერთაშორისო აქტივობების განხორციელება. რესურსები, რომლებიც გამოყოფილი იყო სხვადასხვა ახალგაზრდული, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად მობილიზებული იქნა პანდემიის პერიოდში მოქალაქეთა მოწყლვადი ჯგუფების მხარდასაჭერად.

თუმცა, მიუხედავად პანდემიისა, ქალაქში არ გაუქმებულა და არ გადადებულა არც ერთი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი, ჩვეულ რეჟიმში მუშაობდნენ კომუნალური სამსახურები და ტრანსპორტი (გარდა საგანგებო მდგომარეობის პერიოდისა, როდესაც ტრასპორტით გადაადგილება შეზღუდული იყო). მუნიციპალიტეტის მერიამ სწრაფად მოახდინა რეაგირება ახალ რეალობაზე. ამუშავდა ჯგუფები, რომლებიც მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილს აწვდიდა სურსათს, მედიკამენტებს, პირველადი მოხმარების ნივთებს. განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდებოდა მოქალაქეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (მაგალითად დიალიზის პროგრამაში ჩართული პაციენტებისათვის, რომლებსაც სჭირდებოდათ სისტემატიურად თბილისში ჩასვლა პროცედურებისათვის).

რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ყველა თანამშრომელს ესმის, რომ გაწეული ღონისძიებები მხოლოდ ნაწილობრივ უმსუბუქებს მოსახლეობას იმ მძიმე ეკონომიკური და სოციალურ მდგომარეობას, რომელშიც მოქალაქეები აღმოჩნდნენ მსოფლიო პანდემიის პირობებში. რუსთავის მერია მის კომპეტენციაში არსებულ ყველა რესურსს გამოიყენებს მოქალაქეთა მხარდასაჭერად. იმედს ვიტოვებთ, რომ თანამედროვე მეცნიერება დროულად შესძლებს მსოფლიო პანდემიის დამარცხებას და ჩვენ ყველანი შევძლებთ მალევე დავუბრუნდეთ ცხოვრების ჩვეულ რიტმს და ერთობლივად გავაგრძელოთ რუსთავის განვითარება.

**2020 წლისთვის, ქალაქ რუსთავის საბიუჯეტო პრიორიტეტები შემდეგნაირად იყო გაწერილი:**

- ინფრასტრუქტურის განვითარება
- განათლება
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
- გარემოს დაცვა
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
- საქალაქო ტრანსპორტის განვითარება
- Covid-19 სიტუაციის მართვა
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს აღნიშული პრიორიტეტების შესრულების შესახებ დეტალურ და თვალსაჩინო ინფორმაციას

1. **მერიის შიდა სტრუქტურის და სერვისების განვითარება**

მერიის აპარატის სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ მომზადდა „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების 2020 წლის გეგმა“, რომლის ფარგლებშიც სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტი“-

ს მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე: „გუნდური შეჭიდულობა, ლიდერობა და გუნდის მართვა“ გადამზადდა 20 (ოცი) საჯარო მოხელე მენეჯმენტის გადამზადებით, ხელი შეეწყო,

სტრუქტურის ეფექტურ მართვასა და მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების/მონიტორინგის პროცესს.

რუსთავის მერიაში ამოქმედდა სერვისების მიწოდებისა და დოკუმენტ ბრუნვის ახალი სისტემა. ამ ეტაპზე, მუნიციპალური სერვისები ხელმისაწვდომია დისტანციურად პორტალ www.ms.gov.ge -ის საშუალებით. მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, კონკრეტული მუნიციპალური სერვისის მისაღებად, ისარგებლონ პორტალით და მათი განაცხადი

მყისიერად აისახოს მერიის საქმისწარმოების პროგრამაში, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ინტერაქტიული რუკის მოდულის ამოქმედება, რომლითაც თვალსაჩინოა არქიტექტურული და ქონების მართვის სერვისების მიწოდება.

რუსთავის ინოვაციების ჰაბმა, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერითა შექმნა რუსთავის მერიის ჩატბოტი სი ბოტი – C Bot. ესაა პირველი ხელოვნური ინტელექტი, რომელიც საჯარო მოხელეა.

ჩატ ბოტის საშუალებით, მოქალაქეებს შეუძლიათ დისტანციურად მიიღონ ინფორმაცია იმ სერვისების შესახებ, რასაც გასცემს ადგილობრივი თვითმმართველობა. მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს ბოტის განვითარება. მსგავს პროდუქტს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება პანდემიური სიტუაციების დროს.

რუსთავის მუნიციპალიტეტი ორიენტირებულია იყოს ღია და ანგარიშვალდებული თავისი მოქალაქეებისთვის, საჯაროობის მაღალი ხარისხისთვის მუნიციპალიტეტი ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის ერთერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებლით შეფასდა და მუნიციპალიტეტების საუკეთესო ხუთეულში მოხვდა.

## 2. ქალაქის ბიუჯეტი

ქალაქ რუსთავის მთლიანი ბიუჯეტი 2020 წლისთვის შეადგენს 62 500 400 ლარს




რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საგადასახადო შემოსავლები შეადგენდა 24 მილიონ 848 ათას ლარს, ხოლო 2020 წლისთვის ამ ციფრმა შეადგინა 20 მილიონ 847 ათასი ლარი



ბიუჯეტისა და შემოსავლების კლება განპირობებულია ქვეყანაში Covid -19 პანდემიასა და მასთან დაკავშირებულ შეზღუდვებთან.

## 3. ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის მოწესრიგება კვლავაც რჩება ქალაქის თვითმმართველობის მთავარ პრიორიტეტად. საანგარიშო პრიოდში რუსთავის ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილია **23 356 003** ლარი




- საერთო ჯამში 2020 წელს, რუსთავში მოხდება 82 161 კვ$^{მ}$ საგზაო საფარის, ტროტუარებისა და შიდა ეზოების რეაბილიტაცია;
- 16 რეკრეაციული და საბავშვო სივრცის კეთილმოწყობა;
- 22 სპორტული ინფრასტრუქტურის ობიექტის მოწყობა;
- 34-ე ბაგა ბაღის სრული რეაბილიტაცია;
- ახალი ბაგა ბაღის შენობის მშენებლობის დაწყება;

- 19 სკოლამდელი საგანმანათლებლო ობიექტზე გათბობის სიტემის მონტაჟი და კარ ფანჯრების შეცვლა;
- 9 შენობის რეაბილიტაცია;
- მოეწყო საქალაქო ავტობუსების სადგომი;

სისტემატიურად ხდება ქალაქის სანიაღვრე ქსელის მოწყობის და რეაბილიტაციის სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში:

- 10 ლოკაციაზე მოხდა დაზიანებული საკანალიზაციო ჭების რეაბილიტაცია
- კლდიაშვილისა და სანაპიროს ქუჩების გადაკვეთაზე (ეკლესიის მიმდებარედ) აღდგენილ იქნა დაზიანებული სანიაღვრე მილსადენი
- სპეციალური ტექნიკით მოხდა სხვადასხვა დიამეტრის მქონე 1380 გრძივი მეტრი სანიაღვრე სისტემის გაწმენდა

სულ ამ მიზნით გაიხარჯა **39 724,67 ლარი**

- 9 ლოკაციაზე გაიწმინდა სანიაღვრე არხები.
- 6 ლოკაციაზე გაიწმინდა ნიაღვარმიმღები ჭები
- გრანელის ქ. 30- ში, სოციალურად დაუცველი 14 ოჯახისათვის მოეწყო საკანალიზაციო მილსადენი, 40 გრძ/მ - (800 ლარი)
- ავტობანზე, რუსთავის შემოსასვლელთან აღდგენილ იქნა სარწყავი წყლის სისტემა
- ცენტრალურ ხიდზე, 6 ადგილას დაგრძელდა ნიაღვარმიმღები მილსადენები, დ=400 მმ (18 გრძ/მ) – 3000 ლარი
- მოეწყო კოსტავასა და გამსახურდიას ბიუსტებისათვის ბეტონის საძირკვლები
- სასტუმრო „გრანდ ვეჯინის“ მიმდებარედ გაიწმინდა ღია სანიაღვრე არხი.
- აღდგა მე-19 მ/რ-ის №8 კორპუსთან კანალიზაციის გამომავალი მილი

## 4. უსაფრთხო და კომფორტული გარემო

მრავალი წლის მანძილზე, ჰაერის დაბინძურება იყო ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც აწუხებდა ქალაქ რუსთავის მოსახლეობას. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის N2-134 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფი, სადაც შედიოდნენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა 2020-2022. გეგმა მიზანია **ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება**

გეგმა მოიცავს შემდეგ ამოცანებს:

1. სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების შემცირება
2. ქ. რუსთავში ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გამონაბოლქვის შემცირება
3. ქ. რუსთავში მწვანე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
4. ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გაუმჯობესება
5. ქ. რუსთავში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების და მასში ჩართული მონაწილეების რაოდენობის გაზრდა

აღნიშნული ამოცანების შესრულების პროცესში ჩართული იქნებიან როგორც ადგილობრივი ასევე ცენტრალური ხელისუფლება.

სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 20 ოქტომბერს.

ქალაქში **უსაფრთხო და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა** არის ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ ერთი მთავარი გამოწვევა. ამ მიზნით ინტენსიურად ხდება ქალაქის ტერიტორიაზე გამწვანების სამუშაოების წარმოება. 2020 წელს, ააიპ-ი რუსთავსერვისცენტრმა ამ მიმართულებით განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

1. ავარიული ხეების მოჭრა - 133 ძირი
2. სხვლა-ფორმირება ჩაუტარდა - 565 ძირ ხეს
3. დაირგო რამდენიმე ასეული ხე
4. დაირგო სეზონური ყვავილი - 44 000 ერთეული
5. კირის ხსნარით შეთეთრდა ხის ძირები - 1780 ერთეული
6. გაითიბა:
   - სათიბი მანქანებით და ბენზო ცელებით - 720 000 მ$^2$
   - ხელის ცელით - - 4500 მ$^2$
7. პათოგენური სოკოვანი ორგანიზმებით დაავადებული ფიჭვის ხეების შესაწამლად ჩატარდა შესაბამისი სამუშაოები : დამუშავება-შეწამვლა განხორციელდა მცირე მოცულობის შესხურების აპარატი „სკაუტით“) და გამოყენებულ იქნა ფუნგიციდების კლასის სადეზინფექციო საშუალება „ნორდოქსი“ , (დაახლოებით 75 ჰა)
8. კოვიდ 19-ის გავრცელების პრევენციისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად განხორციელდა სხვადასხვა ლოკაციებზე ქუჩების სადეზინფექციო სამუშაოები სპეციალური ხსნარით.

**ქალაქის სანერგე მეურნეობა**

1. გაფართოვდა 6000 მ$^2$ ( სულ ჯამში 25 000 მ$^2$ )
2. ჩატარდა აგროტექნიკური სამუშაოები 10000 მ2
3. მოძიებულ იქნა 11 სახეობის სათესლე მასალა ჯამში - 30 კგ
4. სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე გადაირგო 424 ერთეული სხვადასხვა ჯიშის ფოთლოვანი მცენარე
5. საგაზაფხულოდ გაიცა მცენარეები

6. სანერგე მეურნეობიდან ქ.რუსთავის ტერიტორიაზე საგაზაფხულოდ გაიცა 306 ,ხოლო საშემოდგომოდ 489 სახეობის სხვადასხვა ჯიშის მრავალწლოვანი ხე-მცენარეები სულ ჯამში 795 ერთეული

**რუსთავის ტყე პარკში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები**

- გასუფთვდა ტყე-ჭალის ტერიტორია ხის ტოტებისაგან
- შეიწამლა მცენარეები
- აღდგა წყლის დაზიანებული მილი
- გადაიბელა გამხმარი ხე-მცენარეები
- გაიწმინდა ტბაზე შემავალი წყლის მილი
- ეტაპობრივად იწმინდება სანერგე მეურნეობაში მიმავალი წყლის არხი
- გაითიბა ტყეში შემავალი ბილიკები
- ეტაპობრივად ხდება დაზიანებული ღობის შეკეთება

- ეტაპობრივად იწმინდება სანერგე მეურნეობაში მიმავალი წყლის არხი
- ხდება მოტეხილი და გამხმარი ხეების გადაბელვა

**რუსთავის პარკში:**

1. სავარჯიშო მოედანზე დამონტაჟდა ელექტრო განათების სისტემა.
2. ამფი-თეატრის შენობაში აღდგენილი იქნა სასმელი წყალის მიწოდება
3. ჩატარდა გარე განათების ქსელის სარემონტო სამუშაოები, შეიცვალა დაზიანებული ნათურები, სხვადასხვა კვეთის სადენები და ჩამრთველები.
4. ტბის მარჯვენა სანაპიროზე მოეწყო სარწყავი სისტემა 498 მ სიგრძის
5. ივნისი ტბაში შეიცვალა სარწყავი სისტემის წყლის ტუმბო
6. აღდგენილ იქნა დასალევი წყლის სისტემა
7. ღია თეატრის მ/ტერიტორიაზე შეკეთდა დაზიანებული ცენტრალური წყლის სისტემა
8. ტბის მარჯვენა სანაპიროზე დამატებულ იქნა 100 მ/სარწყავი სისტემა
9. ცენტრალური განათების ბოძზე შეიცვალა ქუჩის ლედ სანათები
10. გარემონტდა და შეიღება ე.წ ნავმისადგომის მოაჯირები
11. გარემონტდა და შეიღება პარკის ტერიტორიაზე არსებული სკამები და ურნები
12. მაღალი მჟავიანობის გამო ტბა დამუშავდა კირით
13. პარკის ტეროტორიის დიდ ნაწილზე მოხდა განათების სისტემის რეაბილიტაცია და დამონტაჟდა ქუჩის ლედ სანათები, პროჟექტორები, ნათურები და სადენი
14. სისტემატიურად მიმდებარეობს ტბის გაწმენდითი სამუშაოები
15. ეტაპობრივად მიმდინარეობს ხეების მოჭრა-გადაბელვა და დამუშავება
16. სისტემატიურად ითიბება, ირწყვება და მიმდინარეობს ტერიტორიის დასუფთავება

ქალაქში ფუნქციონირებს უპატრონო ცხოველების ოპერირების განყოფილება, რომელმაც საანგარიშო პერიოდში მიიღო და ოპერირება ჩაუტარა 762 მიუსაფარ ძაღლს, რის შემდეგაც გაკეთდა:

- სტერილიზაცია - 371

- კასტრაცია - 309
- მკურნალობა -6
- გაჩუქება - 16
- ბუნებრივი სიკვდილი - 8
- ევთანაზია - 42
- რევაქცინაცია (მეორადი აცრა) – 11

## 5. ჯანდაცვის პროგრამები

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს ჯანდაცვის 5 პროგრამას:

1. მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების პროგრამა
2. ,,აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია“
3. გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია“
4. "დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა"
5. "მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება"

აღნიშნული პროგრამების განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 835211 ლარი

იმავე დანიშნულებით 2019 წელს გაიხარჯა **1 198 000 ლარი**



## 6. სოციალური დაცვის პროგრამები

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს 22 სოციალურ პროგრამას:

1. უფასო სასადილოებით მომსახურების პროგრამა
2. სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამა (მგზავრობის დაფინანსება).
3. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგგარდაცვლილ მეომართა სარიტუალო(დაკრძალვის)ხარჯების დაფარვის პროგრამა

4. ქალაქ რუსთავში აღმოჩენილ არაიდენტიფიცირებად ან იდენტიფიცირებად პირთა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების დაფარვის პროგრამა.
5. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სასმელი წყლის გადასახადზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
6. სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მუნიციპალურ ტრანსპორტზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
7. ვეტერანებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით შეღავათის დაწესების პროგრამა;
8. ზოგიერთი ააიპ-ის და სსიპ-ის თანამშრმლებისათვის მუნიციპალურ ტრანსპორტზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
9. შშმ პირთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
10. ვეტერანების სოციალური დაცვის პროგრამა;
11. გადასახადების დაფარვის პროგრამა
12. უხუცესთა დახმარების პროგრამა;
13. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;
14. 2008 წლის აგვისტოს თვეში რუსეთ-საქართველოს ომში , 2004 წლის აგვისტოს თვეში შიდა ქართლში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების და სამშვიდობო ოპერაციების დროს დაღუპულ რუსთაველ ჯარისკაცთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა;
15. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (27 სექტემბერი);
16. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა ( 9 მაისი);
17. სოციალური ღონისძიებების პროგრამა
18. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამა;
19. რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების კომუნალური დავალიანებების დაფარვის პროგრამა
20. ტოტალურ უსინათლოთა გამცილებლის მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამა;
21. ახალგაზრდა ინიციატორთა პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
22. სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეყწობის პროგრამა

აღნიშნული პროგრამების განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია **2 375 198** ლარი

იმავე დანიშნულებით წინა საანგარიშო პერიოდში გაიხარჯა **2 201 818** ლარი


სოციალური პროგრამების ბიუჯეტი
2,400,000
2,350,000
2,300,000
2,250,000
2,200,000
2,150,000
2,100,000
2,201,818
2,375,198
2019 წელი
2020 წელი

## 7. ურბანული დაგეგმარება და არქიტექტურა




## 8. ქონების მართვა

საანგარიშო პერიოდში ქონების მართვის განყოფილების საქმიანობის შედეგად რუსთავის მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირდა 101 ერთეული ახალი უძრავი ქონება. დარეგისტრირებული ქონების უმეტესი ნაწილია: სკვერები, ტროტუარები და მწვანე ნარგავები (სატრანსპორტო და სარეკრეაციო ზონები) სულ მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი: 296 435კვ.მ-ია
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსულობები შეადგენს 175 585,64 ლარს; (მიწა - 128 517,98 ლარი, შენობა-ნაგებობა - 47 067,66 ლარი)

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული აუქციონების შედეგად ბიუჯეტში შემოსულმა თანხის ოდენობამ შეადგინა: 2 144 826 ლარი.

## 9. ეკონომიკა

2020 წელს რუსთავში მიმდინარე მსხვილი საინვესტიციო პროექტების რაოდენობამ შეადგინა 57 მილიონი ლარი. კვლავ დიდია ინვესტორების დაინტერესება ბინათმშენებლობის კუთხით, 2020 წელს გაცემული ნებართვების მიხედვით მომდევნო 4 წლის განმავლობაში ქალაქში განხორციელდება 40 000 000 ლარამდე ინვესტიცია.




თვითმმართველობა თავის პარტნიორებთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბიზნეს სექტორის მონაწილეობის გაზრდას მიმდინარე პროცესებში. ამ მიზნით, 2020 წლის დასაწყისში დაიწყო მუშაობა ქალაქ რუსთავის ბიზნესმენთა საკონსულტაციო საბჭოს შესაქმნელად. პროცესში ჩაერთო 15-მდე ადგილობრივი მეწარმე, შემუშავდა საბჭოს წესდება. სამწუხაროდ პროცესი შეაფერხა Covid-19 პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, თუმცა მუშაობა ამ მიმართულებით გაგრძელდება.

ქალაქისთვის უმნიშვნელოვანესია ბიზნეს პროცესებში ახალგაზრდების ჩართვის გაძლიერება და ხელშეწყობა. ამ მიზნით, 2020 წლის დასაწყისში, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ რუსთავის ინოვაციების ჰაბთან ერთად დაიწყო მუშაობა ახალგაზრდული ბიზნესის განვითარების ეკოსისტემის შესაქმნელად. პროცესში ჩართული არიან ადგილობრივი თვითმმართველობის, საგანმანათლებლო და საერთაშორისო ორგანიზაციების და ბიზნეს სუბიექტების წარმომადგენლები. ამ თანამშრომლობის შედეგად, 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, პირველად, რუსთავში ჩატარდა ახალგაზრდული ბიზნეს იდეების კონკურსი ,,ბიზნეს სტარტერი“ სადაც საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღო ოცდახუთმა გუნდმა. საბოლოო

ჯამში, ორდონიანი შეფასების გავლის შემდეგ, დაფინანსდა 4 გუნდი, საერთო ჯამში 32 000 ლარით.

მიღწეულია შეთანხმება გაეროს განვითარების პროგრამასთან, ერთობლივი ძალები ქალაქში ბიზნეს ინკუბატორი/აქსელერატორის შექმნის შესახებ. პროცესი დაიწყება ნოემბრის თვიდან და გასტანს 10 თვე.

დასაქმების ბაზარზე რუსთავის მაცხოვრებლების კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, რუსთავის ინოვაციების ჰაბის, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის, პროფესიული გადამზადების კოლეჯის მოდუსის და ადგილობრივი ბიზნესმენების თანამშრომლობით, ჩეხი პარტნიორების და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, იქმნება საგანმანათლებლო ქსელი, რომელიც გააუმჯობესებს კოორდინაციას კერძო, საჯარო და საგანმანათლებლო სექტორებს შორის, უმუშევრობის შესამცირებლად.

ასევე, გერმანულ ორგანიზაცია GIZ-თან თანამშრომლობით, რუსთავში დაწყებული სამუშაოები ციფრული წიგნიერების ცენტრის შესაქმნელად, რაც ასევე ხელს შეუწყობა ადგილობრივ მოსახლეობას აიმაღლონ ის სპეციალური კომპიუტერული უნარები რაც მნიშვნელოვანია მათი დასაქმებისათვის.

## 10. კულტურა

რუსთავის მუზეუმის ფონდსაცავი მოწყობილია ნულოვან სართულზე, უკავია 500 კვ.მ ფართობი, ინახება 35 800 ერთეულზე მეტი ექსპონატი.

მიმდინარე წელს მუზეუმის ფონდები გამდიდრდა 741 არტეფაქტით. აქედან, 2 ფერწერული ტილო მუზეუმს შემოსწირა მხატვარმა ოთარ ლალიაშვილმა, დანარჩენი, 739 ერთეული, მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩნდა რუსთავის ციხე-სიმაგრეზე მარტი-ივნისის თვეში მიმდინარე არქეოლოგიური კვლევა-ძიებითი სამუშაოების შედეგად აღსანიშნავია შუა ბრინჯაოს ხანის ფინალური ეტაპის (ძვ.წ. XVI –XV სს.) სამარხში აღმოჩენილი 9 სააღაპე თიხის ჭურჭელი, ასევე რუსუდანის სამი მონეტა და შუასაუკუნეების მრავალფერად მოჭიქული ჯამები. ექპედიცია, გარდა კვლევითი სამუშაოებისა, მონიტორინგს უწევდა რუსთავის ციხე-სიმაგრის ჩრდილოეთ ზღუდეზე მიმდნარე სარესტავრაციო სამუშაოებს. შემოსული მასალები მუზეუმის ფონდების კურატორებმა აღრიცხეს და გაატარეს შემოსულობათა ძირითად დავთრებში. მუზეუმმა, კორონავირუსის პანდემიის გამო, მუზეუმების საერთაშორისო დღის (18 მაისი) ღონისძიებები: „ექსკურსია მუზეუმში“ და ქვიზი-„როგორ იცნობთ რუსთავის ისტორიას“, განახორციელა ფეისბუქ ჩართვებით. 14-15 ნოემბერს დაგეგმილი აქცია - „ღამე მუზეუმში“ ჩატრდება ასევე ონლიან რეჟიმში.

წლის განმავლობაში, რეგულაციების დაცვით, მუზეუმმა მიიღო 500 ვიზიტორი.

ქალაქის კულტურული განვითარებისათვის აუცილებელია ახალგაზრდა თაობას მიეცეს შესაბამისი განათლება. ქალაქის თვითმმართველობა ცდილობს გაამრავალფეროვნოს ქალაქში

არსებული სახელოვნებო სასწავლებლების პროგრამა, ხელი შეუწყოს პედაგოგებს და მოსწავლეებს შემდგომი განვითარებისა და სწავლისთვის.

მიუხედავად კოვიდ პანდემიისა, რუსთავის სახელოვნებო სასწავლებლებში მოსწავლეთა რაოდენობა




სამწუხაროდ, კოვიდ-19 გამო დაწესებული შეზღუდვების შემდეგ სკოლები ძირითადად სამუშაოდ დისტანციურ რეჟიმზე გადავიდნენ. ამავე მიზეზით გადაიდო წლის განმავლობაში დაგეგმილი ყველა ღონისძიება.

## 11. სკოლამდელი აღზრდა

ა(ა)იპ ქ. რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ბიუჯეტი 2020 წელს განისაზღვრა **7 186 376** ლარით, რაც **246076** ლარით მეტია 2019 წელთან შედარებით.

საშტატო ერთეულების რაოდენობა გაიზარდა 78 ერთეულით

მოხდა 34-ე ბაგა ბაღის სრული რეაბილიტაცია

2021 წელს ექსპლუატაციაში შევა ახალი ბაგა-ბაღი რომელიც გათვალისწინებულია120 ბავშვზე

აღსაზრდელთა კვებაზე დახარჯულმა თანხამ შეადგინა **884124 ლარი.** აქედან პანდემიის პერიოდში 5650 აღსაზრდელზე გაიცა 43166 ლარის პროდუქტი(პასტერიზებული რძე, იოგურტი, კვერცხი). გარდა ამისა, სოციალურ სამსახურს გადაეცა 26438 ლარის პროდუქტი.

2019 წლის მიწურულს უსაფრთხოების პრევენციის მიზნით ყველა ფილიალში მოხდა გაზქურების ჩანაცვლება რესტორნის ტიპის ელექტრო ქურებით.
საკვების დღიური კალორაჟი გაიზარდა დაახლოებით 100-150 ერთეულით და შეადგენს საშუალოდ 1220 კ/კალორიას.

2019 წელს რუსთავის ბაგა-ბაღებში ფუნქციონირებდა 178 სააღმზრდელო ჯგუფი, 2019 წელს კი, 184 ჯგუფი.

გაიზარდა აღსაზრდელების რაოდენობაც




2020 წელს, უკვე ყველა ბავშვს გააჩნია საშულება მიიღოს ბაღის მუნიციპალური სერვისი.

ბაღები აღჭურვილია სხვადასხვა ჰიგიენური და ინფექციის გავრცელების საპრევენციო საშუალებებით: ელექტრო თერმომეტრებით, სახის დამცავი ფარებით, წყალგაუმტარი წინსაფრებით, ერთჯერადი და მრავალჯერადი ნიღბებით, დეზობარიერებით, ხელთათმანებით, ხელის სადეზინფექციო ხსნარის დისპენსერებით, ხელის, ზედაპირების და ჭურჭლის მრავალსპექტრიანი სადეზინფექციო ხსნარებით.

## 12. ახალგაზრდობა

2020 წელს ახალგაზრდული პროექტების მართვის განყოფილების ბიუჯეტი გაიზარდა და შეადგინა ბიუჯეტი იყო 254 200 ლარი.




განხორციელდა პროექტი „იდეების კონკურსი“, რომელიც ახალგაზრდების ბიუჯეტირების პროცესში ჩართულობას და ახალგაზრდული მიმართულებით ქალაქში პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას ემსახურებოდა.

ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე გამართულ 10 საინფორმაციო შეხვედრას დაესწრო 200- მდე ახალგაზრდა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 46 აპლიკანტმა. ფინალური ეტაპისთვის შეირჩა 2 იდეა, რომელთა ბიუჯეტიც გათვალისწინებული იქნა 2021 წლის პროგრამაში.

ორგანიზება გაეწია სამდღიან ტრენინგს „საპროექტო განაცხადის მომზადება“ იდეების კონკურსის ფინალისტებისათვის

განხორციელდა ყოველწლიურ პროექტ ეტალონის მხარდაჭერა. აღინიშნა წიგნის კითხვის საერთაშორისო დღე.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში არსებული 11 საგნობრივი და შემოქმედებითი წრის მომსახურებით ისარგებლა 225 ბენეფიციარმა.

პანდემიის დაწყების შემოდგომ, სამოქმედო გეგმისა და გრაფიკის მიხედვით გათვალისწინებული ღონისძიებები გაუქმდა/შეფერხდა COVID 19- თან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, შესაბამისად ვერ მოხდა გათვალისწინებული ბიუჯეტის ათვისება.

## 13. სპორტი

ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში ჩართვის გასაძლიერებლად ფუნქციონირებს 27 სპორტული წრე , რომლითაც სარგებლობს 1200 სპორტსმენი- მოსწავლე.

48 სპორსტმენი - მოსწავლე იღებს ყოველთვიურ სტიპენდიას, რომლის ჯამიც შეადგენს წლიურად 75450 ლარს.

ჩატარდა სასკოლო-სპორტული ოლიმპიადა მაგიდის ჩოგბურთში ქვემო ქართლის მასშტაბით.

სპორტისა დეპარტემენტის სამოქმედო გეგმის და გრაფიკის მიხედვით გათვალისწინებული ღონისძიებები გაუქმდა/შეფერხდა COVID 19- თან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, შესაბამისად ვერ მოხდა გათვალისწინებული ბიუჯეტის ათვისება.

## 14. საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება (რუსთავის კორპუსი, რუსთავსერვისცენტრი )




„ახალი ინიციატივების პროგრამის“ ფარგლებში 12 ბინათმესაკუთრეთა ასოციაციას გადაეცა 22 711,6 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები ღირებულებით

შესყიდული იქნა 16 570 ლარის ღირებულების 242 პროექტი კორპუსების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის.

**გარე-განათების სამსახურის მიერ, ქალაქში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:**

1. სხვდასხვა ლოკაციებზე დამონტაჟდა 153 ლითონისა და რკინა ბეტონის ბოძი.
2. ქალაქში სხვადასხვა მისამართებზე დამონტაჟდა სხვადასხვა სიმძლავრის 2992 ცალი დიოდური სანათი და ნათურა
3. დამონტაჟდა 10 000 მეტრამდე სიპ კაბელი 2x16 მმ2
4. განათების სამუშაოები განხორციელდა მშვიდობის ქუჩასა და მარის არხის დასახლებაში
5. ქალაქის მასშტაბით განხორციელდა არსებული სანათების შეცვლა და მათი დამატებითი მონტაჟი 14 ლოკაციაზე. ყველა რეაბილიტირებული და ახალი სანათი არის ლედ- ტექნოლოგიის
6. თეატრის ფასადზე

**15. მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა**

2020 წელს **ააიპ „რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლს“**

სხვადასხვა დონორების მიერ გადაეცა შემდეგი აღჭურვილობა და ნივთები

1. UNDP გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე“ წარმომადგენლებმა მოხუცებულთა სახლს უსასყიდლოდ გადმოსცა- 5 ლტ. ჟანგბადის კონცენტრატორი - 2 ცალი, მაცივარი - HYUNDAI RHB252NW - 5 ცალი , ჰაერგამწოვი - HYUNDAI WT099OP IDI -1 ცალი, გაზქურა WAGNER W60901 5GAZ – 1 ცალი, მოტობლოკი (ხელის ტრაქტორი) HYUNDAI - 1 ცალი.
2. „ჯეოსტილმა“ მოხუცებულთა სახლს გადმოსცა მეორადი- 1 ცალი დივანი , 8 ცალი სავარძელი და ბენეფიციარებისათვის 20 კომპლექტი თეთრეული და სველი ხელსახოცები
3. მოქალაქემ ნუგზარ ღრუბელაძემ მოხუცებულთა სახლს გადმოსცა 1 ცალი დისტანციური თერმომეტრი
4. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით გაკეთდა ცენტრალური გათბობა.

5. საშობაოდ, სააღდგომოდ და დედის დღესთან დაკავშირებით ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ ბენეფიციარებს გადასცა სასაჩუქრე პაკეტები

რუსთავის **შეზღუდული შესაძლებლობათა მქონე პირთა ცენტრის** პროგრამებით, 2020 წელს ისარგებლა 148 ბენეფიციარმა, საიდანაც 60 სკოლამდელი ასაკისაა

- ABA თერაპიის პროგრამით სარგებლობს 37 ბენეფიციარი.
- ადრეული განვითარების პროგრამით (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამა) სარგებლობს 9 ბენეფიციარი.

ცენტრ მომსახურებას უწევს 0-დან 33 წლამდე შემდეგი შეზღუდვის მქონე ბენეფიციარებს:

- განვითარების ეტაპების დაყოვნება
- გონებრივი განვითრების შეფერხება
- ბავშვთა ცერებრალური დამბლა (ბ.ც.დ)
- დაუნის სინდრომი
- აუტიზმი და აუტისტური სპექტრი

ცენტრი ახორციელებს 11 პროგრამას და 6 სხვადასხვა სახის თერაპია თავისი ბენეფიციარებისათვის.

## 16. ავტოტრანსპორტი

ქალაქ რუსთავის თვითმმართველობა აქტიურად მუშაობს შიდასაქალაქო სატრანსპორტო სისტემის რეფორმირების მიმართულებით. ამ მიზნით დაგეგმილია ქალაქში არსებული 33 გაჩერების რეაბილიტაცია და 47 ახალი გაჩერების მონტაჟი. გაჩერებები აღჭურვილი იქნება თანამედროვე საინფორმაციო ელექტრონული დაფებით.

2020 წლის ბოლომდე, რუსთავში შემოვა თანამედროვე ტიპის შშმ პირებისთვის ადაპტირებული, ეკოლოგიურად უსაფრთხო 40 ერთეული ავტობუსი.

უკვე დასრულებულია სამუშაოები ავტობუსების სადგომის მოსაწყობად. ავტობუსების ღირებულება საერთო ჯამში შეადგენს 6 455 068 ევროს, საიდანაც 5 470 397 ევრო არის კრედიტი, მიღებული EBRD-საგან, ხოლო 984 671 ევრო არის გრანტი.

## 17. Covid -19 პანდემია და მასთან დაკავშირებული ღონისძიებები

ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, ქალაქ რუსთვის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 02 მარტის N216 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ახალი კორონავირუსის (2019-nCov) შესაძლო შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით საკოორდინაციო საბჭო, რომლის ფუნქციას წარმოადგენს ვირუსის შესაძლო შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით, შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა, გეგმის შემუშავება და რეკომენდაციების გაცემა მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული სამსახურებისა და იურიდიული პირებისთვის. ამავე ბრძანებით დამტკიცდა საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა.

საბჭომ განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სააღმზრდელო პროცესი შეჩერდა საბავშვო ბაგა-ბაღების ფილიალებში; სასწავლო პროცესი შეჩერდა თვითმმართველობის დაქვემდებარებაში არსებულ სამუსიკო, სახელოვნებო და სასპორტო სკოლებში, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრში. ა(ა)იპ „რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლში“ დაწესდა

შეზღუდვები ბენეფიციართა მნახველების ვიზიტებთან დაკავშირებით. შეჩერებულ იქნა რუსთავის ბიბლიოთეკებში არსებული აქტივობები. ა(ა)იპ „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრში“ შეჩერდა სპექტაკლები და სხვა კულტურული ღონისძიებები. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ შეჩერდა პირველადი აღრიცხვის პროცედურებთან დაკავშირებით საჯარო მოსწავლეთა მიღება. გაუქმდა საზოგადოების თავშეყრის ადგილებში დაგეგმილი ხალხმრავალი ღონისძიებების ჩატარება.

- სპეციალური სადეზინფექციო საშუალებებით დამუშავდა მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ყველა ადმინისტრაციული შენობა.

- სატრანსპორტო საშუალებები ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელდებს მუნიციპალური ტრანსპორტის, შიდა საქალაქო და ადგილობრივი საქალაქო M2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების სპეციალური სადეზინფექციო ხსნარებით დამუშავებას.

- მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, საოფისე სივრცეში არასაჭირო კონტაქტებისაგან შეზღუდვის მიზნით, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით თანამშრომელთა ნაწილს მიეცათ დისტანციურ რეჟიმში მუშაობის უფლება. სამუშაო სივრცეში ყოველდღიურად იმყოფება არაუმეტეს 70 თანამშრომელი, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია სამსახურების ფუნქციებთან. ასევე პრევენციის მიზნით შეიზღუდა სამოქალაქო მისაღებში მოქალაქეთა მიღება. მუნიციპალიტეტის მხრიდან შეიზღუდება გარკვეული სერვისების მიწოდება. შეჩერდა გარკვეული სამუშაო ჯგუფებისა და საბჭოების ფუნქციონირება.

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიისა და მის დაქვემდებარებაში არსებული იურიდიული პირების მიერ განხორციელდა თანამშრომლებისთვის ჰიგიენური/სადეზინფექციო საშუალებების შესყიდვა, რათა მინიმუმადე იქნას დაყვანილი ვირუსის გავრცელების რისკები.

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 16 მარტის N279 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა მოხალისეთა ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფდა, მოქალაქეებისთვის საჭირო პირველადი დახმარების აღმოჩენას (მედიკამენტები, საკვები, პირველადი მოხმარების ნივთები, სადეზინფექციო საშუალებები და სხვა). სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის ფარგლებში განხორციელდა მოხალისეთა ჯგუფის წევრებისათვის სპეციალური აღჭურვილობის შეძენა.

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 544 428.00 ლარი, რომლიც გათვალისწინებულია კვებითი უზრუნველყოფის, მედიკამენტების, პირველადი მოხმარების ნივთების, სადეზინფექციო საშუალებების, სპეციალური

აღჭურვილობის და სხვა საჭირო საშუალებების შესაძენად. ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინებების საფუძველზე, საკვები პროდუქტებით დაკმაყოფილდა 8720 ოჯახი.

- ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინებების საფუძველზე, მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 40 000.00 ლარი.

- მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, სარგებლობის უფლებით მოსარგებლე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელთაც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული ჰქონდათ პირგასამტეხლო, გათავისუფლდნენ მისი გადახდისგან 3 თვის ვადით (მარტი, აპრილი და მაისის თვეები). დასუფთავების მოსაკრებლის გადასახადისგან გათავისუფლდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. ასევე, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის ფასის გადახდისგან გათავისუფლდა შიდა საქალაქო და რუსთავი-თბილისის M2 კატეგორიის ტრანსპორტზე ნებართვის მფლობელები.

- სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის ფარგლებში მედ პერსონალისთვის შეძენილ იქნა სპეცტანსაცმელი და აქსესუარები 10 500 ლარის ოდენობით;

- შეძენილი სპეციალური ტანსაცმლისა და აქსესუარების რუსთავის სამედიცინო დაწესებულებებისთვის გადაცემა უზრუნველყო (ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრმა“.

- დამზადდა სპეციალური ბარათები, რომლის საშუალებითაც სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული პირებს მიეცათ განსაზღვრული მარშრუტით საქალაქთაშორისო მიმართულებით გადაადგილების შესაძლებლობა.

- სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის ფარგლებში, განსაკუთრებული მნიშვნელობის მოწყვლადი ჯგუფებისთვის (მოხუცებულები, მრავალშვილიანი ოჯახები, შშმ პირები და ა.შ) სასურსათო კალათების, მედიკამენტების და საკვები პროდუქტების შესაძენად გათვალისწინებულ იქნა 137 000.00 ლარი.
- ვირუსის გავრცელების რისკების შემცირების მიზნით, 2020 წლის 16 აპრილიდან 2020 წლის 25 აპრილის ჩათვლით დაიხურა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სასაფლაოები.

- მთავრობის მიერ დადგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შეზღუდვის პერიოდში, სასოფლო სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, საბჭოს მიერ შემუშავდა ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილების განაცხადის, მისი დანართისა და წერილობითი პასუხების ფორმები და მუნიციპალიტეტმა ხელი შეუწყო მოქალაქეებს განეხორციელებინათ ნებადართული საქმიანობა.

- მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და მათთან გათანაბრებული პირებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 3850.00 ლარი.

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის დისტანციური განათლების მიღების ხელშესაწყობად ინტერნეტის სააბონენტო გადასახადის დაფარვის მიზნით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 10 000.00 ლარი.
- რუსთავის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური ყოველდღიურ კომუნიკაციაში იყო როგორც საწარმოო ასევე ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, (მათ შორის მაღაზიები, აფთიაქები, დისტრიბუცია) ინფორმაციის მიწოდების და პრობლემების გადაჭრისთვის საჭირო ზომების მიღების კუთხით. ყოველკვირეულად მიმდინარეობდა დაზღვეულ 7 პროდუქტზე ფასთა კვლევა. ხორციელდებოდა საწარმოების ადგილზე შემოწმება თუ რამდენად შეესაბამებოდა ჯანდაცვის რეკომენდაციებს და ამის საფუძველზე ვამზადებდით შუამდგომლობის წერილებს რათა საწარმოებს მოეპოვებინათ დროულად მუშაობის გაგრძელების ნებართვა.
- სამსახურმა ასევე განიხილა 500-მდე განცხადება ქალაქიდან გასვლის საშვის გაცემის კუთხით, როგორ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დამუშავების მიზნით, ასევე ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად.
- გარდა აღნიშნულისა, სამსახურის მიერ მომზადდა წინადადება (საკრებულოს განკარგულების პროექტი), ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით მოსარგებლე ფიზიკური და იურიდიული პირების

  ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.“ აღნიშნული განკარგულებით განისაზღვრა სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით მოსარგებლე ფიზიკური და იურიდიული პირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 2020 წლის მარტის, აპრილის და მაისის თვის

  პერიოდში დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი და 2020 წლის მარტის, აპრილის და მაისის თვის პერიოდში გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის დარღვევის გამოსწორების ვადა (მომდევნო სამი თვის ვადაში).

## 18. მოქალაქეთა მონაწილეობა და ჩართულობა

მუხედავად მსოფლიო პანდემიისა, რაც ხელს უშლის მოქალაქეებთან მასიური შეხვედრების ჩატარებას, 2020 წელს რუსთავში ჩართულობის რამდენიმე საინტერესო მოდელი ამოქმედდა.

წლის დასაწყისში, რუსთავის ინოვაციების ჰაბისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლობით, ჩატარდა 10 შეხვედრა ე.წ. Urban foresight მეთოდოლოგიის გამოყენებით. ამ მეთოდოლოგიის მიზანია მოსახლეობის ჩართულობით შეიმუშაოს ქალაქის გრძელვადიანი ხედვა.

ადგილობრივი თვითმმართველობის, რუსთავის ინოვაციების ჰაბის, გაეროს განვითარების პროგრამის, ფონდი ორბელიანი საქართველოს, მომავლის ლაბორატორიის, ბიზნესისა და

ტექნოლოგიური უნივერსიტეტის და ადგილობრივი ბიზნეს სექტორის თანამშრომლობით, 2020 წლის მაისის თვეში ჩატარდა იდეების კონკურსი ,,იდეათონი“, რომლის მიზანიც იყო სკოლის მოსწავლეებს დახმარებოდა პოსტ კოვიდ ქალაქის წინაშე მდგარი გამოწვევების საპასუხო იდეების ჩამოყალიბება და განხორციელება. იდეათონში მონაწილეობა მიიღო რუსთავის 6 საჯარო სკოლის 60 მდე მოსწავლემ, წარმოდგენილი იქნა 11 ინიციატივა, რომელთა ნაწილიც ახალგაზრდებმა წარმატებით განახორციელეს. პროცესში მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ მისი მომზადებისა და ჩატარების მთელი პერიოდი მიმდინარეობდა საგანგებო სიტუაციის პერიოდში და ონლაინ.

რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ, საქართველოს ფინანსისტთა ასოციაციის მხარდაჭერით დაიწყო პროექტის ,,დაგეგმე შენი ბიუჯეტის“ განხორციელება. პროექტის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ აეტვირთათ საბიუჯეტო იდეა რუსთავის მერიის საიტზე, ხოლო მოქალაქეებს შესაძლებლობა ქონდათ ატვირთული იდეებიდან აერჩიათ მათთვის სასურველი. გამარჯვებული იდეები დამუშავდება საბიუჯეტო პროექტებად და მათი განხორციელება მოხდება 2021 წელს. ამ მიზნით ბიუჯეტიდან გამოიყოფა 1 მილიონი ლარი.

რუსთავის ინოვაციების ჰაბმა, ადგილობრივ თვითმმართველობასთან და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით დაიწყო პროექტი ,,მონაწილეობითი რუსთავი“. პროექტის ფარგლებში იგეგმება რუსთავის მუნიციპალიტეტის საკომუნიკაციო სტრატეგიისა და სპეციალური მობილური აპლიკაციის შექმნა, რომლის საშუალებითაც მოსახლეობა შეძლებს მიაწოდოს თავისი იდეები და ინიციატივები ადგილობრივ თვითმმართველობას, შეაფასოს სხვადასხვა პროექტებისა და სერვისების ხარისხი, მონაწილეობა მიიღოს ქალაქში მიმდინარე მოვლენებში.

რუსთავში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს ინტერ სექტორული თანამშრომლობა. ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად გამოდგება ორგანიზაცია ,,გავიგუდეთ“-ის ინიციატივა, რომლის განხორციელებაშიც ჩართული იყო ადგილობრივი თვითმმართველობა, საგანმანათლებლო, ბიზნეს და სამოქალაქო სექტორი. კერძოდ, მოხდა მე-20 საჯარო სკოლის ეზოში (1ჰა), გამწვანების სამუშაოების ჩატარებს. დაირგო 300-მდე ძირი ნერგი და მოეწყო მელიორაციის სიტემა. რესურსები აღნიშნული ინიციატივისთვის ნაწილობრივ მოძიებული იქნა კრაუტფანდინგის საშუალებით. ასევე პროექტს ფინანსურად დაუჭირა მხარი ფონდმა ორბელიანმა და რუსთავის ინოვაციების ჰაბმა. მელიორაციის სისტემის მუშაობას უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობა.

რუსთავის მერიამ დააგროვა საკმაოდ საინტერესო გამოცდილება მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით. გამომდინარე აქედან, რუსთავის ინოვაციების ჰაბი, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, იწყებს პროექტს ქვემო ქართლის რეგიონში რუსთავის წარმატებული გამოცდილების რეპლიკაციის მიზნით.